ცვლილება ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში

ბანკის ვებ-გვერდზე www.pashabank.ge განთავსებულ ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება") შედის შემდეგი ცვლილება:

1. შეიცვალოს და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების 5.2.3.2 პუნქტი:

   „5.2.3.2 საქართველოს ტერიტორიაზე ბარათით პინ-კოდის გარეშე უკონტაქტო ტრანზაქციის შესრულება დასაშვებია 100 (ასი) ლარამდე თანხის ოდენობით. ამასთან, ბანკი პასუხს არ აგებს და არ განიხილავს კლიენტის პრეტენზიას მის საბარათე ანგარიშზე საქართველოს ტერიტორიაზე 100 ლარამდე თანხის ფარგლებში განხორციელებულ უკონტაქტო ტრანზაქცია(ებ)ზე (მიუხედავად ბარათით განხორციელებული ასეთი ტრანზაქციების რაოდენობისა)."

წინამდებარე ცვლილებები ძალაში შედის 21.09.2020-დან.